შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"

N 71
31/01/2018

71-1-2-201801311657

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს,
ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

2018 წლის 11 იანვრის თქვენი #6/1778 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება თბილისში, აეროპორტის ძველი ტერმინალის წინამდებარე ტერიტორიიდან (ს/კ #01.19.30.001.166) 13851 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების პირდაპირი წესით პრივატიზების საკითხს, გაცნობებთ შემდეგს:

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ მიესალმება წარმოდგენილ ინიციატივას და მზად ვართ ვითანამშრომლოთ შპს „პილოტთან“ საინვესტიციო პროექტის განხილვის მიზნით, მათ მიერ, მოცემული ტერიტორიის განვითარების კონცეფციის, რეკონსტრუქციის პროექტისა და საინვესტიციო წინადადების სხვა დეტალებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

გასათვალისწინებელია, რომ ვინაიდან მოცემული უძრავი ქონება მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის განვითარების ზონაში, ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის შემუშავება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ პროექტის რეალიზაციამ ხელი არ შეუშალოს აეროპორტის მომავალ განვითარებას, რასთან დაკავშირებითაც მზად ვართ აღმოვუჩინოთ დაინტერესებულ კომპანიას ყოველგვარი დახმარება და ჩართულობა ჩვენი მხრიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ პრინციპულად არ ვართ წინააღმდეგი, განხორციელდეს თბილისში, აეროპორტის ძველი ტერმინალის წინამდებარე

ტერიტორიიდან (ს/კ #01.19.30.001.166) 13851 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების პირდაპირი წესით პრივატიზება, შესაბამისი საინვესტიციო პროექტის შეთანხმებისა და ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინების შემთხვევაში.

პატივისცემით,

ქეთევან ალექსიძე

დირექტორი